ელექტრონული ბიბლიოთეკა

ნიანგი

ISSN 0132-6015

21

1982

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობისა და სტამბის კოლექტივს

გამომცემლობის 60 წლისთავისა და სტამბის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების გამო

იუბილესაც, ორდენსაც აღფრთოვანებით გილოცავთ!
თქვენ იგივე ხართ ჩემთვისა, რაც ნიანგისთვის — ნილოსი!
თქვენ მაწყობთ, მაკაბადონებთ, მბეჭდავთ, მკინძავთ და მამშვენებთ!..
თუ რამე ნაკლი მექნება, თქვენიც იქნება ასევე!

მე თუ ვიმარჯვებ, ვიმარჯვებ თქვენი მარჯვენით, სიმარჯვით,
თქვენ შემოგევლოთ ამიტომ ჩემი ფორმატიც, ტირაჟიც!..
სიგელებს საპატიოსა და საპატიო წოდებებს
სულით და გულით გილოცავთ ამ სალაღობო ნოტებზე!

●

ქართულ ასომთავრულივით, დიდგორული ფორტუნათი,
თქვენს თავკაცად გაბედული დირექტორი მორჭმულად ზის! —
გამარჯვებით კაშკაშებდეს, არ დაჟანგდეს დროზრუნვაში
და ორდენთა შუქი ედგას გორდას
გურამ გორდულაძის!

60 წლის საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს (საქინფორმის) კოლექტივს

ჩემო კარის მეზობელო, საყვარელო საქინფორმო,
ერთგულების ეს ტრაქტატი ლექსად უნდა გაგიფორმო!
ჩვენი ყველა გამარჯვება სიტყვად, ფოტოდ შენ აკურთხე
და მზესავით მოაფინე დედამიწის ყველა კუთხეს!

მთელ მსოფლიოს გააცანი შენ საბჭოთა საქართველო!
საქართველოს უმართლეს ხმად დაფრინავ და დანათელობ!
ცეცხლით შემოქმედებითით, ძიებების ცეცხლით ინვი!
ჩვენი პრესის, ტელესა და რადიოს ხარ ოაზისი!

მოგილოცავ საპატიო ამ სიგელებს, ამ წოდებებს!
შენთვის არ დაიშურებენ არც მედლებს და არც ორდენებს!
ბასრი ავტოკალმებით და მძლავრი ტელეტაიპებით,
ფოტოაპარატებითაც, მჯერა, უფრო აინთებით!

●

თეიმურაზ სტეპანოვი (თეიმურაზ მამალაძე)
ანუ შენი დირექტორი — სიტყვით, საქმით გვალამაზებს!
დღეს რომ ომალოში არის, ხვალ გადიფრენს ჰავანაზე
და რეპორტაჟ-ნარკვევებით გვახარებს და ძალას გვმატებს!

●

სამოცი წლის იუბილეს მეც ვაპირებ მომავალ წელს,
ერთი დამსახურებული ჟურნალისტი მომამაგრე! —
მერე რომ არ გამიბრაზდეს, — მე მერის გთხოვთ,
გაბრიაძეს!

60 წლის გიორგი ციციშვილს

სახელოვან სამოც წელსა
მოგილოცავ ბევრი კოცნით!
გიდღეგრძელებ ნაწერებსა —
ქუხილით და ელვით მოსილს!
ოქროპირად ჰყავხარ ერსა!
საპატიო გშვენის პოსტი!
სძლიე სიმაღლესა შენსა! —
გაგვიაკადემიკოსდი!

60 წლის გიორგი სალუქვაძეს

საყვარელი სალუქვაძე —
სანუკვარი სანუკვარზე —
საქართველოს რუკის გარდა,
არ ლოცულობს სხვა რუკაზე!..

ბათუმიდან ახალ ლექსთა
და თარგმანთა სალუტს გვაძლევს!..
შევარცხვინე, ვინც მწერლობას
და კაცობას არ უფასებს!

მეგობრული შარჟი ზ. ფირცხალავასი

ნახ. გ. ფირცხალავასი

— ვერ დადგამს ამ ჭიქას?!
— მაგას ჭიქა თუ არ უჭირავს ხელში, ისე ვერ ლაპარაკობს!

ყურმოკრული დიალოგიდან

— ხომ არაჩვეულებრივია გელათი, დაილოცოს ქართული მიწა! მაგრამ როგორღაც გული ვერ ეგუება. სხვისი არ ვიცი, მაგრამ გელათის შემდეგ მე ერთი კვირა გული რაღაცნაირად მაქვს დახურული. ატენი? ატენი ერუანტელს გგვრის, ცაში აგაფრენს, ერის სადიდებელ ხოტბას ათქმევინებს შინაურსაც და გარეულსაც, მაგრამ მეორე დღეს აღარაფერი გახსოვს. გრემი უფრო დიდებულია. რა ნიჭმა შექმნა ეს დალოცვილი! მისი ერთი დანახვაც კი დაგარეტიანებს, პოეტის თქმისა არ იყოს. მაგრამ თბილისი სულ სხვაა, დედის რძესავით ტკბილი, რომ გაჯადოებს თავისი კეთილშობილებით, დარბაისლობით. გინდა ყველა ნაცნობ-უცნობი გადაკოცნო, მშობლიური მიწის ყოველ მტკაველს ეამბორო. ამიტომაც არის ასე ძვირფასი.

— მეც მაგას ვამბობ. მაგ ფასით თოთხმეტი ბოთლი გარეჯი მოგვივა.

— ჰოდა, ყველას გარეჯი ჯობია!

რ. მამულაშვილი

ალექსი ჭინჭარაული

კითხვა-პასუხი

— არხოტიონო, არ ხვდები,
რომ მთის არწივი ვარხვდები?!
რათახანია ჭაუხში
ჯიხვებს ხირიმით არ ხვდები!

შატილიონო, ვერ ხვდები,
რომ მთის ბერმუხა ვერხვდები?!
რათახანია მუხრანხევს
მეხს მუხასავით ვერ ხვდები!

ბან-კარს მოედო ჭინჭარი —
ხადუში, ბაცალიგოში!..
დაბუდებულან გველები
ქავ-ციხეების ლიბოში!..

ჩვენი ლამაზი მთა-ბარის
თქმა ვინ გაბედოს ძვირისა?! —
მაგრამ ერთნი ვართ მთის მკვიდრნი
და სხვანი — მთების ძირისა!
ერთია ჰანგი ფანდურის,
სულ სხვაა ზურნა-სტვირისა!..
მამა-პაპათა საძვალე
მაინც არ გაინირვისა!
ზარივით რეკავს ნათქვამი
დიდი ჩარგლელი მწირისა:
„თუ მთის ნიავი არა მცემს,
გული ქალებურ ტირისა!“

გახსოვს? ავედით ხევსურეთს,
სანამ სულ დაიცლებოდა,
დამემონმები, სირცხვილით
იქ აღარ გაიძლებოდა! —
აღარსად ჩანდნენ უფროსნი,
აღარც ვის ლუდი ებადა!..
თვითონ სტუმარნი დიდ სტუმარს
ვხვდებოდით მასპინძლებადა!..

არც ახალუხალს გააჩნდა
სტუმარ-მასპინძლის გაგება,
მამა-პაპური „სიმღერე“
ნინ ვერვინ შემოგვაგება:
„სტუმრებო, სტუმრების მზემა,
უსტუმროდ არა ლხინია!
უსტუმროდ პური, ღვინოი
მწარე ას, არა ტკბილია!“

აღარ ჰყვებოდა ჰანგები
მელექსის „ფანდურს რვლისასა“:
„პირნაღმ კი ვერ დაინონეს,
ზურგთანით დაბკრეს ნიქასა,
დაივაგლახა ნიქამა:
„«ვა დედას ნიქაისასა!»“
„ჩოხს დაიბადა არწივი,
ამბობენ ცოტა ხნისასა,
ამზადებს ტყვია-ნამალსა:
«ეხლა ხანსა ვარ ცდისასა,
ერთის დედას კი ვატირებ —
ან ჩემს, ან ჩემის მტრისასა»“

ნუთუ არ ჩასნვდა შენს გულ-გონს,
რაც იმ სტუმარმა გირჩია?!
გიყვარდეს, მაგრამ ნუ გასცვლი
შენს ფანდურს ზურნა-სტვირშია!
ისევ შენ უნდა იმღერო,
უშიშა ხარ თუ შიშია:
„თქვენი ჭირიმე პირშია,
კარგნი ხართ გასაჭირშია!
დასხდების ქორ-შევარდნები
თქვენის თვალ-ნარბის ჩდილშია!“

არხოტიონო, არ ხვდები,
რომ მთის არწივი ვარხვდები?!
შატილიონო, ვერ ხვდები,
რომ მთის ბერმუხა ვერხვდები?!

— როგორ არ ვხვდები?! ეს არის
დიდი აზრი. და მიზანი:
ბარს ბარის კაცი ამშვენებს,
მთას ვაჟნი უნდან მთისანი!
ქვეყნად ვის გაუგონია
უმტერო კაცი ხიზანი?!
ამას არ ვიქამთ, ძმობილო,
რო გულნ გალაღდან მტრისანი!

ლომების ნაბუხუნარში
ვერ ინკავლებენ ციცანი,
ვერც ცანი დაგვეცემიან
და ვერც ნაპირნი ცისანი!
კიდევაც დაიზრდებიან
ხევსურეთს ლეკვნი მგლისანი!

შალვა ნუცუბიძის იუმორი

ერთხელ ფონეტიკის ერთმა სპეციალისტმა შალვას, რომელიც ხელფასის მისაღებად იდგა უნივერსიტეტის სალაროსთან, ჰკითხა:

— რა ისმის ფულოსოფიის ფრონტიდან?!

— ფულოსოფიის ფრონტზე ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ცუდი სუნი მოდის ფუნეტიკის მხრიდან! — უპასუხა შალვამ.

—:—:—

ერთ-ერთი ლიტერატურული დისკუსიის დროს მომხსენებელმა წყლის დალევა მოინდომა, მაგრამ უეცრად ჭიქა ხელიდან გაუვარდა და მოხსენების ტექსტი დაუსველდა.

— არა უშავს, წყალი წყალს გადაესხა! — ჩაილაპარაკა შალვამ.

—:—:—

უნივერსიტეტის ერთ პროფესორს მისი ასპირანტი ყოველთვის პირად მომსახურებას უნევდა: პალტოს გახდიდა ან მიიღებდა, პორტფელის ნაღებაში ჭელოდა, მიაცილებდა და მოაცილებდა...

— ის პროფესორი კარგ მიმდევარს ამზადებს — სახლიდან უნივერსიტეტამდე და უნივერსიტეტიდან სახლამდე! — შენიშნა შალვამ.

—:—:—

შალვას ერთ პროფესორზე ჩამოუგდეს საუბარი, მაგრამ ვერ მიახვედრეს, ვინ ჰყავდათ მხედველობაში. ბოლოს მიხვდა:

— ჰო, იმერეთის ლობეში გაკვეხებულ კვახს რომ უგავს თავი?

ეს ამბავი იმ პროფესორმა გაიგო და ძალიან ეწყინა.

— ბატონო შალვა, ჩემს შესახებ გიკადრებიათ, თითქოს მე იმერეთის ლობეში გაკვეხებულ კვახს მიგავდეს თავი!

— ტყუილია, მე ასე არ მითქვამს! მე ვთქვი, თავი უგავს იმერეთის ლობეში გაკვეხებულ მწარე კვახს-მეთქი! — „იმართლა“ თავი შალვამ.

—:—:—

უნივერსიტეტის ადგილკომის არჩევნების დროს ზერელე კრიტიკით გამოვიდა ერთი თანამშრომელი — კვირიკაძე. სიტყვის დამთავრების შემდეგ იგი შალვასთან ახლოს დაჯდა. შალვამ გადაულაპარაკა, შენი გვარი შესწორებას მოითხოვსო!

— როგორ, ბატონო შალვა?!

— უბრალოდ, პირველი ასო უნდა გამოაკლო! — უთხრა შალვამ.

—:—:—

ერთხელ შალვა დაგვიანებით შევიდა ლექციაზე, რექტორმა უსაყვედურა, რატომ დაიგვიანეო?!

— არა უშავს, სამაგიეროდ ადრე გამოვალ ლექციიდან! — მიუგო შალვამ.

—:—:—

შალვას ჰკითხეს, რამდენად სწორად აფასებენ კრიტიკოსები შენს ცოდნასო?!

— ჩემმა ცოდნამ მრავალი უმეცარი წარმოშვაო! — უპასუხა შალვამ.

—:—:—

ერთ კრიტიკოსს ხუმრობით უთქვამს, სანამ ცოცხალია, შალვას ვერავინ ვერაფერს დააკლებსო!

შალვასაც ხუმრობითვე შეუთვლია, — ჰკლავენ იმას, ვისაც ვერ ამარცხებენო!

შეკრიბა პროფესორმა აპოლონ ნუცუბიძემ

— ახლავე გამომყევი უკან და ჩააბარე ეგ ციტრუსი!
— შენ აბაშელა ლმერთმა! ჭოლი დღე დავდივარ და ვერც ერთ კუნძს ვერ მივალბინე!..

დათა თუთაშხია აბაშაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათა ვნახე, ჩემი [illegible] თუთაშხია!

— მართალია, სიზმარში ვნახე, მაგრამ ისე კარგად დამამახსოვრდა, ცხადი შემრცხვენია! გვიან ღამით აბაშის ცენტრში მოსულაყო ცხენით! ჭალრების ძირში იდგა! განცვიფრებული გასცქეროდა ლამპიონებით გაჩახჩახებულ ქალაქს!..

— მადლობა ღმერთს, ცოცხალს რომ ვხედავთ, დათა ბატონო! შენზე ხმები დაირხა, მოკლულო!

— იტყოდნენ, კი! მჯერა, ნამდვილად იტყოდნენ! ასე იქნებოდა ეს!

— საიდან სად?! ან ამდენ ხანს სად ბრძანდებოდით, დათა ბატონო?!

— სტამბულს ვიყავი წასული! დამტანჯა სხვა ქვეყანაში ყოფნამ! დავბრუნდი სამშობლოში, ჩემს საყვარელ კოლხეთში!

— დიდი მადლობა, დათა ბატონო, სტუმრად რომ გვეწვიეთ აბაშაში!

— სტუმრად?! არა, სტუმრად არ მოვსულვარ მე აქ! სტამბულს მოვიდა ამბავი, აბაშაში მეცხოველეობის გიგანტური კომპლექსური ფერმები აშენდაო! მეჯოგე კაცი ვარ მე, მთელმა ქვეყანამ იცის ეს! ამიტომ წამოვედი სტამბულიდან, ანჯელის კომპლექსში მინდა დავიწყო მუშაობა!

— დიდებული აზრი მოგსულიათ, დათა ბატონო, დიდებული! სანთლით დავეძებთ კადრებს! თქვენისთანა სახელგანთქმული მეჯოგე ლირსეულ საამსტრს გიდგენ საქართველოს!

— ბიჭიც თან მომყავს. გუდუნა! ბიჭითად იმუშავებს, თავს გამოიჩენს და, შეიძლება, ლიმიტიც ვუშოვო „ზოოვეტაში“ მოსაწყობად! მეჯოგის შვილი ხარ შენ და შენგან კარგი ვეტექიმი დადგება-მეთქი! დავიუოლიე, ვერ მითხრა უარი! ერთად ვიმუშავებთ ჩვენ! ბერუნის გაუგია, ფერმაში მწვეველი ქალების ანაზღაურება თვეში 300-350 მანეთს აღემატებაო! პენსიაზე ვარ გასახვლელი, ხელს მაძლევს ასეთ დიდხელფასიან ადგილზე მუშაობაო! ჩვენთან უნდა იმასაც წამოხვალ! შემეხვეწა და, რა უქნა, უარი ვერ ვუთხარი!

— დათა ბატონო, ჩემი სახლის გვერდზე დიდებული ბინები შენდება! ნეტავი, აქ დაბინავდებოდეთ! თქვენისთანა კეთილი და სიმტკიცე მეზობლით ვიამაყებდი მე!

— ოჰ, არა! ბინები არ მიხსენო! ახფალტზე ვერ ვიცხოვრებ მე! რძეზე, მაწონზე და ყველზე ბაზარში ვერ ვირბენ! საკუთარი ეზო და ბოსტანი უნდა ვიქონიო ჩემთვის! აბაშელებმა დიდი ხიდი რომ ააშენეთ რიონზე, იმის გვერდზე ჯარგვალი მინდა ავაგო, ისლით გადავხურავ, დროებით ვიცხოვრებ, ზამთარში, მოცალეობისას, შუაცეცხლთან ჯდომა მიყვარს მე!

ძალიან მომეწონა, აბაშაში კოპერირების ახალი წესი რომ დაუნერგავთ. მომგებიანი საქმეა ის გლეხისათვის! დიდი სიამოვნებით ჩავერევი მე ამ საქმეში! მალე მოვიმართავ ხელს!..

ძალიან თბილი კაცია დათა, ნამეტანი გემრიელი ლაპარაკი იცის! საუბარში ღამე ისე გავეპარა, არც კი გამიგია! დროებითო, მითხრა, მალე ვინახულებთო!

„კარგი ხანს მესმოდა მისი ცხენის ფლოქვების თქარათქური!..

ვაშა ესაკია
(ქ. აბაშა)

უვალიდოლოდ თავს ვერ უშველი!

შენ რომ მითხარი, სახლი ნახეო —
ნახეო ჩემი ეზო-მიდამო,
სხვის მითქმა-მოთქმას აღარ აყვეო,
სხვა არაფერი აღარ მინდაო.

მომიტანეო მხოლოდ ამბავი —
ეზოში ცაცხვი დგას თუ არაო,
სახლშიც შედი და... ლეიბ-საბანი
მავანმა ხომ არ მოიპარაო, —

ვნახე: ის ცაცხვი დგას მხარგაშლილი,
მაგრამ მდუმარი და ფიქრიანი.
რომ დამინახა, მკითხა მაშინვე:
„პატრონი ჩემი რად იგვიანებს?“

ჭაზე რომ მკითხე და ოწინარზე, —
ჭა დამპალია! — რა დიდებული!
და ოწინარი, ფეხზე მძინარი,
დგას ყანჩასავით გარინდებული,

ჩამოუტირის ხეხილს თავ-პირი,
ბაღი დამჭკნარა და დაქცეულა.
არც მარტი შველის და არც აპრილი —
გამხმარა ვარდის ხე ზეზეულად,

წამოქცეულა გვერდზე ჭიშკარი,
დაუჩიჩქნიათ ღორებს მინდორი.
და მერე, ესეც რომ არ იკმარეს
(რა უნდა ექნათ, სად წავიდოდნენ!),

თხარეს და თხარეს, რაც კი შეეძლოთ —
გადააბრუნეს მიწა ყამირი.
სახლმა რომ მნახა, თითქოს შეინძრა,
მარტო რომ იდგა, ვითარც ყარიბი

(მოსაკლავი ვარ — იქნებ გეწყინოს,
ვერ მოგიტანე კარგი ამბავი...).
კარი გავაღე და გამეცინა —
თაგვებს დაეხრათ ლეიბ-საბანი.

რომ მოვდიოდი, ასე ვიფიქრე —
ვაითუ წამცდეს სიტყვა უშვერი...
და თუ ოდესმე წახვალ იქეთკენ,
უვალიდოლოდ თავს ვერ უშველი.

ეგგენი ბართაია

კაცი, რომელსაც არაფერი აკვირვებს

სულ ბუზღუნებს, სულ წუწუნებს,
ატარტალებს ენას გლახად!..
სხვის ნახელავს რომ იწუნებს,
მის ნახელავს ვერსად ნახავთ!..

ზვარში იხმეს ყმაწვილებმა:
„— ადექ, გამო, რა დარია!“
„— მორჩით! რა სჯობს წაძინებას?!
ეს ხალხი რამ გადარია?!“

გზას იწუნებს თვისი სოფლის:
„— ზედ „უიგულს“ ვერ გაუვლია!
რა?! მოდენა უნდა ოფლის?!“
(აქ გინებაც გაურია!).

ანძას დგამენ სოფლის თავზე:
„— ტელეხედვა — ბარის დარად!“
ეს მის გრძნობას სულ არ ავსებს:
„— ჰოპო, კაცო, რა მომხდარა!..“

სართულები აიზიდა, —
სოკოები იყოს თითქოს!
გამზირები განიზიდა, —
როგორ! — სულაც არა ფიქრობს!

თვლის, რომ არ ღირს ცდად და ნახვად
შორით დედამიწის სფერო.
მისთვის სათამაშო გახლავთ
ატმოსფერო, სტრატოსფერო!..

„— ხომალდიდან გამოსულან?!
ამას რად უნდა გაბედვა?!“
(თვით მას ურუოლით ავსებს სრულად
აივნიდან გადახედვა!).

ავ კაცს არვინ შეუქია,
აღტაცებას არც აპირებს!
არაფერი შეუქმნია, —
შექმნილიც ვერ გააკვირვებს!

იური ხიდეშელი

ნახ. ბ. ფირცხალავასი



— კაცო, შენ ველარ მოგიშორე ფეროს კვამლივით?!

ნახ. ი. ჟვინაშვილისა

უსიტყვოდ

701
6.XII 82

უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიავე

(სიღნაღი, მაშნაარი)

ხევის წყლის ჩქერთა ნაკადი ჩქეფდა ფერდობზე ლამაზად,
მაშნაარის ჩამოვლით უერთდებოდა ალაზანს!..
სვლა მისი, მარადიული, ერთხელაც შედრკა, შეფერხდა:
შუბლით გლუვ კედელს შეასკდა და გაიფანტა შხეფებად!..

„— ეგეც შენ, წყალო წყეულო, ხომ ამოგართყით ნიკაპში?!" —
აღმოხდათ **ნორა დოვგალსა** და **ისკრა ორჯონიკაშვილს.**
„— ეზო გალავნით შევკარით, ყვავიც ვერ მოდგეს, ყვანჩალა,
ის ხევი, შენ რომ გეჭირა, შემოვუმატეთ ბალჩა-ბაღს!.."

წყალი აღმართში ვერ ადის, ჰოდა, სოფელში დაქანდა,
გზა გაათხრა სავალი, შედგა რკინიგზის ბაქანთან,
დაგუბდა ტბად და ჭაობად, ყველა ბილიკი ალაგმა,
გზა ბაქნისაკენ მოუჭრა ვაქირს, საქობოს, ანაგას!..

წყალს შეეწირა მრავალი ღობე, ნარგავი, ხეხილი!..
დიახ, ეს წყალი ავდარში სოფელს ეცემა მეხივით!
ხუთი წელია, თავკაცებს უჩივის მთელი სოფელი!
რძალ-დედამთილის სიავის არავინ არის მგმობელი!

ჩაძირული ქუჩა

(თბილისი, წულუკიძის მე-4-ე შესახვევი, მე-9, მე-11, მე-13 კორპუსები)

აქ გაჭიმეს გარაჟები (ნებართვა თუ უჩანთ?!),
ბეტონის და მიწის ლაფში ჩაიძირა ქუჩა!..
ბორცვები და ორმოები დარჩა ძველი სახით!
ავტოები მშრალზე დგანან, ლაფში დადის ხალხი!

მიდის!..

(ბოლნისი, წითელი სოფელი)

ოთხი წელია შენდება, ველარ აშენდა ხიდი,
მდინარე ფოლადაური სიცილ-კისკისით მიდის!..

არასდროს უმუშავია!

(ხაშური, დაბა სურამი)

არასდროს უმუშავია! კაცი ვერ ჯობდა ჭამაში,
ყიდვა-გაყიდვის ოსტატი ორჯერ გაება ხაფანგში,
ახლა მესამედ ჩაავლეს ქორვაჭარ **ბორის ჯანაშვილს!**

უგზო სკოლა

(ჭიათურა, სოფელი რგანი)

გზა — მისასვლელი სკოლამდე — არის ბილიკი ტეხილი,
ხელმარჯვნივ კლდეა, ხელმარცხნივ ხევია ღელე **ტეხილის!**
ბევრჯერ უნახავთ ბავშვები ამ „გზაზე" ფეხმოტეხილი!

მესამე „ზიმა"

(გულრიფში, სოფელი ზიმა)

მესამე „ზიმა" წავიდა, და, უნდა გითხრათ სიმართლე:
აქ ნავთის ლამპით ეძებენ გამქრალ ელექტროსინათლეს!..

გაიოზ შავერზაშვილი,
„ნიანგის" კორესპონდენტი.

ნიანგს უპასუხებენ

საქართველოს კპ კასპის რაიონული კომიტეტი:

რაიონული კომიტეტის ბიურომ და რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილეს ჟურნალ „ნიანგის" მე-10 ნომერში გამოქვეყნებული წერილი — **„ნიანგი კასპის რაიონში".**

რაიონული კომიტეტის ბიურომ და რაისაბჭოს აღმასკომმა წერილში მითითებული ნაკლოვანებები, შენიშვნები და სურვილები მიიჩნიეს მართებულად. მიმდინარეობს მუშაობა წერილში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

„საქმთავარენერგო":

„ნიანგის" მე-10 ნომერში სათაურით — **„უცნაური სენი"** — დაბეჭდილი წერილი, რომელიც ეხებოდა ნაკლოვანებებს კასპის რაიონის ელექტრომომარაგების საქმეში, სინამდვილეს შეეფერება.

გასულ ხუთწლედში და მიმდინარე ხუთწლედის პირველ წელს კასპის რაიონში ელექტროენერგიის შეუფერხებლად მიწოდების გასაუმჯობესებლად აშენდა ან რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 25,3 კმ ელექტროგადამცემ ხაზებს. სოფელ ოკამში აშენდა ახალი ქვესადგური და ელექტროგადამცემი ხაზი.

1982 და 1983 წლებში გათვალისწინებულია სოფლების — კავთისხევის, მეტეხის, ზარნაბიანთკარის, კოდისწყაროს, გოსტიბეს, დოესის, გრაკლის, ხოვლეს, ჰყობიანის, ლამისყანის, ჩანგილარისა და ქ. კასპის ელექტროგადამცემი ხაზების სარემონტო სამუშაოები.

ცეკავშირის გამგეობა:

ჟურნალ **„ნიანგის"** მე-6 ნომერში დაბეჭდილ წერილში — **„ხურჯინიანი კაცის ამბავი"** — მოყვანილი ფაქტები კასპის პურის ქარხნის სარეკონსტრუქციო სამუშაოთა გაჭიანურების შესახებ — სინამდვილეს ასახავს.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ქარხნის როგორც სამშენებლო, ისე სამონტაჟო სამუშაოები დამთავრებულია. ქარხანა ექსპლუატაციაში შევა მიმდინარე წლის მე-4 კვარტალში, ექნება 39 ტონა საპროექტო-სადღეღამისო სიმძლავრე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო:

ჟურნალ „ნიანგის" მე-14 ნომერში სათაურით — **„მძიმე რეკორდისთვის"** — დაბეჭდილი კრიტიკული წერილი ლანჩხუთის რაიონული საავადმყოფოს შესახებ — სინამდვილეა.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით გათვალისწინებული იყო ლანჩხუთის რაიონული საავადმყოფოს შენობის რეკონსტრუქცია, მაგრამ გაერთიანება „საქნავთმა გადაწყვიტა ლანჩხუთში 300-საწოლიანი საავადმყოფოს შენობის აშენება. ამჟამად მიმდინარეობს შენობის პროექტირება.

საქართველოს კპ საჩხერის რაიკომი:

ჟურნალ **„ნიანგის"** მიმდინარე წლის მე-8 ნომერში დაბეჭდილ წერილში — **„მიწისქვეშა ქურდები"** — მოყვანილი ფაქტები საჩხერის რაისამრეწველო კომბინატის მიერ გამოშვებული სამუშაო ხალათების **უხარისხობის** შესახებ, სინამდვილეა.

წერილი განხილულ იქნა რაისამრეწველო კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე. საამქროს უფროსს, ოსტატსა და წუნმდებელს გამოეცხადათ საყვედური.

აღნიშნულ საკითხზე მკაცრად იმსჯელა აგრეთვე **საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ.** საჩხერის რაისამრეწველო კომბინატის მთავარ ინჟინერს **ი. ყიფიანს** გამოეცხადა საყვედური.

საქართველოს საფეიქრო-სამკერვალო... საქართველოს სამკერვალო სამრეწველო გაერთიანება:

ჟურნალ **„ნიანგის"** მე-8 ნომერში დაბეჭდილი წერილი — **„მიწისქვეშა ქურდები"** — თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის", სიღნაღისა და წყნეთის სამკერვალო ფაბრიკების მიერ გამოშვებული ნაწარმის უხარისხობის შესახებ — სინამდვილეს ასახავს.

სამკერვალო სამრეწველო გაერთიანებაში ჩატარებულ „ხარისხის დღის" სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი პროდუქციის ხარისხის ამაღლების უზრუნველყოფის შესახებ. ყურადღება გამახვილდა „ნიანგში" გამოქვეყნებულ ფაქტებზე, აგრეთვე, სავაჭრო ორგანიზაციების მიერ წამოყენებულ პრეტენზიებზე.

შემუშავდა საწარმოთა მიხედვით ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს სამკერვალო ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა ზოგიერთ საწარმოში პროდუქციის ხარისხის მდგომარეობა და უხარისხო სამკერვალო ნაწარმის გამოშვებისათვის წყნეთისა და სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკების მთავარ ინჟინრებს **ა. გორელაშვილს** და **შ. ჩაჩუაშვილს** გამოეცხადათ საყვედური.

კოლეგიაზე ცნობად იქნა მიღებული, რომ თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის" მთავარი ინჟინერი, იმის გამო, რომ ვერ უზრუნველჰყო საჭირო ხელმძღვანელობა, გათავისუფლებულია თანამდებობიდან. ხარისხის ტექნიკური კონტროლის მუშაკები ადმინისტრაციული წესით დაისაჯნენ.

7-82 82-701

ნახ. გ.ჟორჟაძისა

ულტრა თავს ყოფს!

სატირისა და იუმორის ჟურნალი
№ 21 (1631) ნოემბერი
გაზეთი 1923 წ. (1982 წ.)

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

საredaქციო
კოლეგია:
ფაბუა ამირეჯიბი,
ნოდარ ბართაია,
ბორის გურგულია,
ნოდარ დუმბაძე,
რევაზ თავარაძე,
ჯემალ ლოლუა,
ნოდარ მალაზონია
(მხატვარი-რედაქტორი),

ალექსანდრე სამსონია,
ბეჟან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),

გიგლა ფირცხალავა,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
თამაზ წივწივაძე,
ფაუა ფანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე),

ნაფი ჯუსოვითი.

●

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

●

გადაეცა ასაწყობად
4. 10. 82 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად
26. 11. 82 წ.
ქაღალდის ზომა 70×100
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 1
სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 1,7
საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა
ლენინის ქ. №14,
შეკვეთა № 2363 უე 00796
ტირაჟი 145.000.
ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

●

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический
журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137